საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეოდორა

თეოდორა (Theodōra) (984–1056), ბიზანტიის დედოფალი (1054–56), კონსტანტინე VIII-ის ასული, ბასილი II ბულგართმმუსვრელის ძმისწული. მეფობდა 1042, ხოლო კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (1054) უკვე მოხუცებული გაამეფეს. თ-ს ბაგრატ IV-თვის უთხოვია, „რათა მოსცეს ასული თვსი მართა (იხ. მარიამი ბიზანტიის დედოფალი), რათა შვილად თვსად აღზარდოს", რასაც ბაგრატ IV დიდი სიხარულით დაეთანხმა: „ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვსი მართა...".

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 6, თბ., 1966.

ლ. მანიავა